ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 577 44 40 60
577 47-43-34

N 31
12/04/2019

31-08-4-201904121507

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 61 -ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №2 დადგენილებით დამტკიცებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-40 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. მიმდინარე წლის 19 აპრილს დღის 12:00 საათზე, მოწვეულ იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1.1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

1.2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობისა და მასზე დამაგრებული 66.00 კვ.მ. არასასოფლო--სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – N28.01.22.134) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლების ფორმით გადაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

1.3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე არსებული 135.20 კვ.მ. უძრავი ქონების (ფართი) (მიწის უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – N28.01.22.349.01.500) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსიდან ჩამოწერის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

1.4. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული მაღალამთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან 2019 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: მერაბი ბერძენიშვილი

1.5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

მომხსენებელი: ირაკლი კუჭავა

1.6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2018 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: ირაკლი კუჭავა

1.7. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2019 წელს დამტკიცებულ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: ირაკლი კუჭავა

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. N 4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა